



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე
გიორგი ხითარიშვილი

გ. ხითარიშვილი

30 დეკემბერი 2021 წელი

N 59/36

ეგზ. N 1

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020
წლის კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	18
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	26
დანართები	კონსოლიდირებული ერთეულები	29
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	30
	საკონტაქტო ინფორმაცია	62

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

აკადემია – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

დელტა – სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.

კიბერუსაფრთხოება – სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო.

ლიცეუმი – სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

სამხედრო ქვედანაყოფი – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივებად განხილულია საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

სსზას – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ჯლუსი – ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

ჰოსპიტალი – სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას თავდაცვის სფეროში. 2020 წელს სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები.¹

ცხრილი N1. ინფორმაცია 2020 წლის დამტკიცებული/დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობა	საკასო
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	845,000,000	818,000,000	-3%	842,378,800
ხარჯები	679,489,000	679,612,504	0%	684,599,057
შრომის ანაზღაურება	395,389,000	411,262,049	4%	411,259,392
არაფინანსური აქტივების ზრდა	165,511,000	138,387,496	-16% ²	157,779,743

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების განაწილების შესახებ (ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი შემოსავლები	ჯამი
სამინისტროს აპარატი	774,214,421	-	774,214,421
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“	35,039,761	5,200,960	40,240,721
სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი	6,816,128	11,394,415	18,210,543
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	15,001,568	65,314	15,006,882
სსიპ - თავდაცვის ინსტიტუტური აღმშენებლობის სკოლა	717,052	-	717,052
სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	3,559,118	126,713	3,685,831
სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სათო ინსტიტუტი	1,592,224	272,504	1,864,728
სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	1,445,033	127,682	1,572,715
სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო	1,369,221	-	1,369,221
სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	964,226	50,354	1,014,580
სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი	609,459	129,771	739,230
სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი	592,982	16,823	609,806
სსიპ - ინსტიტუტი „ოპტიკა“	457,603	14,914	472,517
ჯამი:	842,378,800	17 399,450	859,778,247

¹ საკუთარი შემოსავლები დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, 2020 წელს „დელტამ“ შემოსავლების სახით 5,200,960 ლარი მიიღო, ხოლო სამხედრო ჰოსპიტალმა - 11,394,415 ლარი.

² Covid - 19 პანდემიასთან დაკავშირებით 2020 წელს შემცირდა თავდაცვის სამინისტროს ასიგნება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების (ერთად – ჯგუფის)³ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, განმარტებით შენიშვნებს, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ შენიშვნებს⁴ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, აბზაცში – „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის⁵ შესაბამისად.

³ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული N1-N21 შენიშვნები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში,⁶ ჩართულია სამოქალაქო ოფისი და თავდაცვის ძალების შემადგენლობა.

ცხრილი N3. თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულები და მათი ქვედანაყოფები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სამინისტროს აპარატთან ფინანსური ინფორმაციის წარდგენაზე.

თავდაცვის ძალები	გენერალური შტაბი
	ჯალუსის სარდლობა (დაქვემდებარებული 5 ქვედანაყოფი) აღმოსავლეთ სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი) დასავლეთ სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი) ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა (დაქვემდებარებული 1 ქვედანაყოფი) წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი) ეროვნული გვარდია (დაქვემდებარებული 2 ქვედანაყოფი) სამხედრო პოლიცია სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი სპეციალური ოპერაციების ძალები გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტი გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ცენტრი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- სარდლობებსა და ბრიგადებში ბუღალტერ-აღმრიცხველები აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას აწარმოებენ ორი განსხვავებული ფორმით: აღრიცხვის ჟურნალებში რაოდენობრივად და Microsoft Excel-ის ფორმატში თანხობრივად (აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები). აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული,⁷ რაც არ არის შესაბამისობაში აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.⁸ ამასთანავე, განსხვავებული ფორმატისა და არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო,⁹ რაოდენობრივი აღრიცხვისა და თანხობრივი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება გართულებულია და რიგ შემთხვევებში ვერ ხერხდება;

⁶ სამინისტროს დაქვემდებარებული ერთეულების ანგარიშგება, გარდა სხვა საბალანსო ერთეულებისა („დელტა“, სამხედრო ჰოსპიტალი და სხვ.).

⁷ 1994 წელს დამტკიცებული: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შეიარაღების, ტექნიკის, ქონების და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელო.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

⁹ ინფორმაცია მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოძრაობას (მიღება/გასვლა), მაგრამ არ მოიცავს აქტივების აღრიცხვისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: დასახელება, მოდელი, პირველადი დოკუმენტი, რაოდენობა.

- სამინისტროს აპარატის ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური ჯამური თანხით.¹⁰

შესაბამისად, სარდლობებისა და ქვედანაყოფების დონეზე სააღრიცხვო მონაცემები არაინფორმაციულია, ხოლო ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად ვერ ხორციელდება ეკონომიკური მოვლენების კონტროლი. ასევე, სარდლობებისა და მათი ქვედანაყოფების მიერ სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტსა და ჯლუსში¹¹ დამოუკიდებლად (ინდივიდუალურ დონეზე) წარმოდგენილი აქტივების რაოდენობრივი მონაცემები და აქტივებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს ურთიერთშესადარისობასა და სანდოობას.

ამასთანავე, რიგ შემთხვევაში არ არის დროული და ეფექტიანი კომუნიკაცია სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რის გამოც ქვედანაყოფებსა და სამინისტროში ეკონომიკური მოვლენები აისახება სხვადასხვა პერიოდში.¹²

აღსანიშნავია, რომ ფინანსური და ლოგისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ 2020-2021 წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა, კერძოდ:

- 2020 წლიდან სამინისტროს აპარატს თავდაცვის ძალების შესაბამისი საფინანსო ერთეულები პერიოდულად აწვდიან ანალიზური აღრიცხვის მონაცემებს;
- სამინისტროს განმარტებით, 2021 წლიდან დაწყებულია კონტროლის მექანიზმების გამოყენება არაფინანსური აქტივების მოძრაობის ყოველთვიური უწყისებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის ფორმების მიხედვით;
- 2020 წლიდან დაწყებულია აგრეთვე რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის პროცესი.¹³ სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული სისტემა, სრულყოფილად ამოქმედების შემდეგ, უზრუნველყოფს სამინისტროს აპარატსა და ქვედანაყოფებს შორის არსებული აღრიცხვა-ანგარიშების ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

1.1.1 ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

აღრიცხვა-ანგარიშების პროცესში არსებული სისტემური ნაკლოვანებებისა და უზუსტობების გამო, აუდიტის ჯგუფისთვის არ არის სარწმუნო ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათი შედეგები. კერძოდ, ვერ ვიღებთ რწმუნებას, როგორ მოხდა **სამინისტროში** აქტივების შემოწმება და მათი აღრიცხვის სისწორის დადგენა ბუღალტრული მონაცემებისა და ფაქტობრივი ნაშთების შედარების გზით იმ პირობებში, როდესაც აქტივების უმრავლესობა არ არის ასახული ღირებულებით და მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემებია წარმოდგენილი.¹⁴

¹⁰ თუ აქტივები მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული და თანხობრივი შეფასება არ აქვს, ასეთ შემთხვევაში მისი რაოდენობრივი ხარჯვა/გასვლა კონტროლდება ქვედანაყოფის და ჯლუსის დონეზე, თუმცა ინფორმაცია არ ხვდება ფინანსების მართვის დეპარტამენტში.

¹¹ აღრიცხვა-ანგარიშების კუთხით ჯლუსის სარდლობის ფუნქცია-მოვალეობაა თავდაცვის ძალების აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი კონტროლი და აღრიცხვა.

¹² 2019 წლის დეკემბერში გრანტის სახით მიღებული (მიღება-ჩაბარების აქტი N298-01) 4,758,776 ლარის სატრანსპორტო საშუალებები, ქვედანაყოფის მიერ აღრიცხულია დაგვიანებით, 2020 წლის თებერვალში.

¹³ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება 2020 წლის 4 მარტის ბრძანება MOD 6 20 00000217.

¹⁴ წონა, ერთეული, მოცულობა და ა.შ.

ასევე, ინვენტარიზაციის შემაჯამებელ ოქმებში აქტივები წარმოდგენილია ჯამურად, ქვედანაყოფების მიხედვით, შედეგად არ არის შესაძლებელი ერთეული აქტივის იდენტიფიკაცია. სამინისტროს აპარატის ფინანსური სამსახურის მიერ ინვენტარიზაციის მონაცემების შედარება ბუღალტრულ ნაშთებთან ხდება შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, ჯამურად.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარების მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს აქტივების ღირებულების გარეშე აღრიცხვა. აღსანიშნავია, რომ აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვის პრაქტიკა ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელია. ისტორიული კონტექსტიდან და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა გრძელვადიანი პროცესია. სამინისტროში ხორციელდება აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებები.

2020 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია **დელტაში** არ დასრულებულა.¹⁵ ანგარიშის დამტკიცების მდგომარეობით¹⁶ დასრულებულია მხოლოდ ცენტრალურ საწყობში არსებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია,¹⁷ თუმცა ინვენტარიზაციის შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული. გარდა ამისა, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- **დელტას** ცენტრალურ საწყობში არსებული სხვადასხვა სახის ქონების იდენტიფიკაცია და ვარგისიანობის დადგენა შეუძლებელია კვალიფიციური ექსპერტის/სპეციალიზებული კომისიის გარეშე;
- ძირითადი აქტივების ნაწილი¹⁸ ღირებულების გარეშე, მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული;
- აქტივების გარკვეულ ნაწილს არა აქვს მინიჭებული საინვენტარიზაციო კოდი;
- ცენტრალური საწყობის ინვენტარიზაციის ოქმის¹⁹ მიხედვით ვერ ხერხდება ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა მატერიალური ფასეულობის²⁰ ფინანსური აღრიცხვის მონაცემებთან შედარება;
- ინვენტარიზაციის შედეგად მოძიებული 144 დასახელების სხვადასხვა ტიპის ქონება არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.

დელტას სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ნაწილით სარგებლობის სხვადასხვა კომპანია,²¹ რომელთა აქტივების დელტას აქტივებისაგან გამიჯვნა გართულებულია.

¹⁵ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის - „დელტას“ გენერალური დირექტორის 2021 წლის 29 იანვრის N MOD 2 21 00000087 ბრძანება.

¹⁶ ობიექტის განმარტებით სამუშაოების დიდი მოცულობიდან გამომდინარე პროცესი გრძელდება დღემდე, მიმდინარეობს შედარებების და აქტის გაფორმების პროცესი.

¹⁷ საინვენტარიზაციო აქტი N090, 2021 წლის აპრილი.

¹⁸ 200 დასახელების სხვადასხვა ძირითადი აქტივი.

¹⁹ საინვენტარიზაციო აქტი N090, 2021 წლის აპრილი.

²⁰ ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ქონება და 397 ცალი სხვადასხვა ტიპის მატერიალური ფასეულობა.

²¹ დელტას მიერ დაფუძნებული კომპანიები, სს „თამ“ თბილავიამშენი და შპს „თბილავიამშენი“.

1.2 მატერიალური მარაგები

თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „მატერიალური მარაგების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 763,124,737 ლარს, საიდანაც 95% სამინისტროს აპარატის მატერიალური მარაგებია.

სამინისტროს აპარატს და მასში შემავალ ქვედანაყოფებს არ აქვთ შემუშავებული ძირითად აქტივებზე გაწეული დანახარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა. შედეგად, რემონტთან დაკავშირებული ყველა ტიპის დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.²²

სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური მარაგების შეფასებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით. მაგალითად: 2018 წელს, სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული 13 ერთეული, შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი სატვირთო ავტომობილისგან²³ მიღებული ვარგისი მეორეული ნაწილები, აღრიცხულია ნულოვანი ღირებულებით.

სამინისტროს სისტემაში შემავალი ორი ქვედანაყოფის²⁴ მიერ 2019 წელს გახარჯული 15,418,146 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების ჩამოწერა ბუღალტრულად აისახა 2020 წელს.

2020 წელს სამინისტრომ განახორციელა „სხვა დანარჩენი მასალებისა და მარაგების“ მუხლის კორექტირება, რის შედეგადაც მარაგების საწყისი ნაშთი შემცირდა 311,346,362 ლარით, მათ შორის, 307,718,266 ლარის კორექტირების საფუძველს წარმოადგენდა ჯლუსს, ქვედანაყოფებს და აპარატს შორის განხორციელებული ურთიერთშედარებები.²⁵ კორექტირების საფუძვლის²⁶ მიხედვით გამოვლენილი უზუსტობები მომდინარეობს 2016 წლიდან.

სამინისტროს მიერ „მარაგების“ მუხლის ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად და სამართლიანად წარდგენის მიზნით განხორციელებული ქმედებები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ურთიერთშედარებების საფუძველზე კორექტირებული მარაგების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა და არ განხორციელებულა უზუსტობების გამომწვევი მიზეზების დეტალური მოკვლევა.

სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მიერ წარმოებულ სახელობით რეესტრსა და თავდაცვის სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის „მატერიალური მარაგების“ მუხლში გამოვლინდა სხვაობა 96,926,448 ლარის ოდენობით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სხვაობა უკავშირდება სპეციფიკური დანიშნულების მარაგებს, რომლებიც აპარატის მიერ აღრიცხული იყო ერთიან კომპლექტად, ხოლო ქვედანაყოფს

²² მაგალითად, საავტომობილო ტექნიკის სარემონტო ბაზას 2020 წელს ძირითად აქტივებზე გაწეული ყველა დანახარჯი ასახული აქვს მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

²³ გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 14 დეკემბრის ბრძანება N819.

²⁴ განათლების სარდლობა და აღმოსავლეთ სარდლობის საბრძოლო-საინჟინრო ბატალიონი.

²⁵ შედარება განხორციელდა საჟურნალო ჩანაწერების მეშვეობით.

²⁶ ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2021 წლის 6 აპრილის მოხსენებითი ბარათი N01179-ს (გრიფით „საიდუმლო“).

აღრიცხული ჰქონდა ფასის გარეშე.²⁷ ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება ამ აქტივების რა ნაწილი აკმაყოფილებს მარაგად აღიარების კრიტერიუმებს და რა ნაწილი უნდა იქნეს კლასიფიცირებული ძირითად აქტივად.²⁸

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დელტას „მატერიალური მარაგების“ ნაშთი შეადგენს 28,086,129 ლარს, რაც არ ასახავს საანგარიშგებო წლის ბოლოს ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან საწარმოო პროცესების აღრიცხვა არ ხდება თანმიმდევრულად,²⁹ მაგალითად:

- „ნედლეულის და მასალების“ მუხლში ნაშთად ირიცხება 6 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ჯამურად – 1,156,554 ლარის ღირებულებით, რაზეც 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა საწარმოო სამუშაოები და შეიქმნა მოდიფიცირებული ტექნიკა, თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები წარმოდგენილია თავდაპირველი ღირებულებით და არ არის ასახული მათზე განხორციელებული კაპიტალური დანახარჯები;
- 2020 წლის ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, 12,325,000 ლარის მატერიალურ მარაგებზე ბრუნვა არ განხორციელებულა, თუმცა პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მარაგების ნაწილი ფაქტობრივად გახარჯულია³⁰ სხვადასხვა საწარმოო პროცესზე.³¹

2020 წელს დელტას ბალანსზე აღრიცხული ჰქონდა სამინისტროს შეკვეთით 2011 წელს³² დამზადებული 29 მოდიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება. 2020 წელს სს „თამ“ თბილავიამშენმა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ნაწილი,³³ ღირებულებით – 2,844,712 ლარი, გადასცა სამინისტროს, თუმცა აქტივები იმყოფებოდა დელტას საკუთრებაში. სამინისტროს ამ აქტივების მიღება ბუღალტრულად არ აუსახავს, ხოლო ამავე წელს მათი დელტასთვის გადაცემა³⁴ ბუღალტრულად ასახა. შესაბამისად, 2020 წელს დელტამ მიიღო ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც ფაქტობრივად ფლობდა და აღრიცხულიც ჰქონდა ბალანსზე. ამავე წელს დელტამ სატრანსპორტო საშუალებებზე განხორციელა დამატებითი საწარმოო პროცესები³⁵ და გადასცა თავდაცვის სამინისტროს 4,644,370 ლარის ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება აღნიშნული აქტივების ღირებულების სიზუსტის შესახებ.

²⁷ აღნიშნული მარაგები მიღებულია 2007-2008 წლებში.

²⁸ სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს განხორციელდა აქტივების სწორი კლასიფიკაცია.

²⁹ საწარმოო პროცესში გამოყენებული „ნედლეულის და მასალების“ მუხლიდან „დაუმთავრებელი წარმოების“ მუხლში გადატანა ხდება არა უშუალოდ მარაგების წარმოებაში ჩაშვებისას, არამედ პროექტის დასრულების შემდეგ. ასევე „დაუმთავრებელი წარმოების“ მუხლიდან „მზა პროდუქციის“ მუხლში აქტივების გადატანა ხორციელდება არა უშუალოდ მზა პროდუქციის შექმნის დროს, არამედ პროექტის დასრულების შემდეგ.

³⁰ საანგარიშგებო წელს არ შედგენილა მარაგების ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

³¹ მარაგების აღრიცხვაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, დელტას მიერ გაიწერა სამოქმედო გეგმა, სადაც აღნიშნული პროცესის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2023 წლის თებერვალი.

³² თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N050. (გრივით „საიდუმლო“).

³³ 18 მოდიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება.

³⁴ თავდაცვიდან მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება N098 (გრივით „საიდუმლო“), 2020 წლის 15 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი N05779 (გრივით „საიდუმლო“).

³⁵ შეკვეთა N423-1, გენერალური დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის ბრძანება N053 (გრივით „საიდუმლო“).

1.2.1 ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული მარაგები

თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფში ღირებულების გარეშე აღრიცხული 5000-მდე დასახელების³⁶ სპეციფიკური დანიშნულების მარაგი. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელებულია სხვა ქვედანაყოფებშიც.

დეტას ბალანსზე ღირებულების გარეშე აღრიცხული 5,600 დასახელების³⁷ მარაგი.

თავდაცვის სამინისტრო ფლობს სპეციფიკურ აქტივებს (ნაწილი გადმოცემულია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ნაწილი შეძენილია/მიღებულია 1990-იან წლებში), რომელთა ფასები გარკვეულ შემთხვევებში ობიექტური მიზეზების გამო უცნობია. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება კომპლექსურ მიდგომას და შეფასების პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს.

ძალოვანი უწყებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა სპეციფიკური დანიშნულების აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების რეალურ ღირებულებაზე და შეუძლებელია განისაზღვროს უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სამინისტროს განმარტებით, დაწყებულია ღონისძიებების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით შესაფერისი მიდგომებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მარაგების მუხლის საბოლოო ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე.

1.3 მოთხოვნები

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 438,329,028 ლარს, საიდანაც 92% აპარატის მოთხოვნებია.

2020 წელს დებიტორული/კრედიტორული დავალიანების შემსწავლელი კომისიის ოქმების საფუძველზე ჩამოიწერა 35,446,057 ლარის დებიტორული დავალიანება,³⁸ რომელთა დიდი ნაწილი წარმოშობილი იყო 1996-2007 წლებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების ნაწილზე,³⁹ მათი წარმოშობის შემდგომ (2007-2012 წწ.) არ განხორციელებულა ოპერაციები, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნების მიღების ალბათობა მცირეა.⁴⁰

სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანებების დიდ ნაწილზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმისწარმოება, ასევე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახდენს

³⁶ 30 მლნ-ზე მეტი რაოდენობის.

³⁷ 520,000 -მდე რაოდენობის.

³⁸ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 5 ნოემბრის ბრძანება N811; თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 30 აპრილის ბრძანება N358; თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის ბრძანება N315.

³⁹ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აპარატის ბალანსზე არსებული მთლიანი დებიტორული დავალიანების 45%, 182,588,856 ლარის ოდენობით.

⁴⁰ დებიტორული დავალიანებების შესახებ გენ. ინსპექციის მიერ მიმდინარეობს მოკვლევა.

მოთხოვნების ამოღების ალბათობის შეფასებას, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლას და ანალიზს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **დელტას** ფინანსური ანგარიშგების „დებიტორული დავალიანების“ მუხლი მოიცავს სს „თამ“ თბილავიამშენის მიმართ 2,088,020 ლარის მოთხოვნას, რაც უკავშირდება 2017-2020 წლების ხელშეკრულებების⁴¹ ფარგლებში სხვადასხვა შეკვეთის შესრულებას. მათ შორის, 1,128,000 ლარის დავალიანება არის საავანსო ანგარიშსწორება,⁴² რომლის შესაბამისი აქტივები ამ დრომდე არ არის მიღებული.⁴³

2020 წელს დელტას შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნის⁴⁴ მიხედვით, სს „თამ“ თბილავიამშენმა აღნიშნული ავანსი არამართლზომიერად განკარგა.⁴⁵ შესაბამისად, საკითხი შემდგომი მოკვლევისთვის გადაეცა გენერალურ ინსპექციას. მხარეებს შორის 2020-2021 წლებში დადებული შეთანხმების მიხედვით,⁴⁶ „დელტა“ აღარ საჭიროებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვას, შესაბამისად, სს „თამ“ თბილავიამშენის მხრიდან აღარ განხორციელდება საქონლის მოწოდება, ხოლო ავანსის სახით მიღებული თანხა, შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით სრულად მიიმართება ხაზინის ერთიან ანგარიშზე. აუდიტის ანგარიშის შედეგისთვის სს „თამ“ თბილავიამშენის მიერ ხაზინაში დაბრუნებულია 76,800 ლარი.

1.4 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,829,897,780 ლარს, საიდანაც 95% სამინისტროს აპარატის აქტივებია.

1.4.1 შენობა-ნაგებობები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **აპარატის** ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 1,794,224,605 ლარს. ამ მუხლთან დაკავშირებით აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება:

- სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების ბალანსზე აღრიცხულია 40,597,647 ლარის საცხოვრებელი შენობები, რომლებიც არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში. მაგალითად, სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია სამხედრო მოსამსახურეებზე პრივატიზებული, საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ბინები.

1.4.2 მიწა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **აპარატის** ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლის - „მიწა“ საბოლოო ნაშთი შეადგენს 1,380,492,753 ლარს. ამ მუხლთან დაკავშირებით აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

⁴¹ ხელშეკრულება N19-207, 15.07.2019; ხელშ. 21/სს-2017, 14.09.2017.

⁴² 2019 წლის 15 ივლისის ხელშეკრულება N19-207.

⁴³ შიდა აუდიტის დასკვნა N CON/-2020-07-02-5653 – 6-ლერძიანი ჯავშნის მოღუწვის დანადგარი.

⁴⁴ N/ 2020-07-02-5653; 2020-07-02.

⁴⁵ გადარიცხულია სს „თამ“ თბილავიამშენის კუთვნილ ანგარიშზე ბანკლადემის რესპუბლიკაში, 2019 წლის 28 ივნისს.

⁴⁶ 2020 წლის 10 ივლისის შეთანხმება N1; 2020 წლის 13 ივლისის შეთანხმება N2; 2021 წლის 2 თებერვლის შეთანხმება N3.

- საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 174 ჰა მიწაზე არ ფიქსირდება სამინისტროს სარგებლობის უფლება, თუმცა ასახულია მის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- 106 ჰა მიწა იმყოფება სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში, თუმცა არ არის რეგისტრირებული სარგებლობის უფლება;
- სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 73 ჰა მიწის ფართობიდან მხოლოდ ნაწილი, თუმცა ვერ იმიჯნება ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის ზუსტი მოცულობა;
- სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ისეთი მიწები, რაზეც განთავსებულია სამხედრო მოსამსახურეებზე პრივატიზებული, საკუთრებაში გადაცემული საბინაო ფონდი. შესაბამისად, მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 745 ჰა მიწა ღირებულების გარეშე აღრიცხული, მათგან ნაწილი სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაშია, თუმცა არ ფიქსირდება სარგებლობის უფლება.

შედეგად, ზემოაღნიშნული მიწების ნაწილი არ არის ღირებულებით აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში, ნაწილი კი პირიქით – გაზრდილად არის წარმოდგენილი, თუმცა ჩვენ ვერ შევძელით საჭირო კორექტირების ზუსტი ღირებულების განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში მიწის ღირებულების გარეშე აღრიცხვის პრობლემას გაცილებით მასშტაბური ხასიათი ჰქონდა. 2020 წელს სამინისტრომ განახორციელა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის ფასის დადგენა,⁴⁷ რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ასევე სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს დასრულდა დარჩენილი მიწების შეფასების პროცესი და განხორციელდება მათი ასახვა 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.4.3 სხვადასხვა ძირითადი აქტივი

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით **აპარატის** „სამხედრო იარაღის სისტემების“ მუხლი მოიცავდა 60,215,379 ლარის ღირებულების, კომპლექტის სახით აღრიცხულ აქტივს. 2020 წელს **აპარატმა** ჩამოწერა 4 ერთეული, 23,391,754 ლარის ღირებულების აქტივი,⁴⁸ რომელიც წარმოადგენდა კომპლექტის ნაწილს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება ჩამოწერილი აქტივების ღირებულების სიზუსტის შესახებ. ასევე დარჩენილი 36,490,644 ლარი მოიცავს დაშლილ მდგომარეობაში მყოფ აქტივებს და სწავლებისა და ტრენინგების მომსახურების ღირებულებას. ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, აღნიშნული აქტივებიდან⁴⁹ რა ნაწილი აკმაყოფილებს ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმს. სამინისტროს განმარტებით, 2021 წელს მიმდინარეობს ღონისძიებები⁵⁰ აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად.

⁴⁷ 2020 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ განხორციელდა წინა პერიოდში არსებული ღირებულების გარეშე მიწების ნაწილის - 27,594,709 კვ.მ ფასების დადგენა, რის შედეგადაც აღნიშნული მუხლი გაიზარდა 111,543,331 ლარის ოდენობით.

⁴⁸ 2007 წელს მიღებული სხვადასხვა დასახელების და კლასიფიკაციის ქონება.

⁴⁹ ერთ-ერთი ქვედანაყოფის ბალანსზე.

⁵⁰ 2021 წლის 27 აპრილის N155 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტზე რიცხული (2019 წლის 30 დეკემბრის N0795 და 2020 წლის 11 სექტემბრის N0709 მიღება-ჩაბარების აქტებით მიღებული) ქონების ფინანსური ღირებულების განსაზღვრის, ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ქონების ჩამოწერის თაობაზე რეკომენდაციების წარმოდგენა და ჩამოწერისთვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის მხარდაჭერა. სამინისტროს

2020 წელს გრანტის სახით მიღებულია⁵¹ 24,777,835 ლარის სხვადასხვა აქტივი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული.

1.4.4 ძირითადი აქტივების კორექტირებები

სამინისტროს მიერ 2020 წელს განხორციელდა კორექტირებები, რის საფუძველზეც „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირდა, ჯამში – 433,337,150 ლარის ოდენობით.

ცხრილი 4. ძირითადი აქტივების კორექტირებები

მუხლის დასახელება	ღირებულება
მიწა	1,092,903
საცხოვრებელი შენობები	59,451,632
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	90,244,384
სხვა ნაგებობები, საკუთარი მიწისთვის	13,439,529
სხვა მანქანა-დანადგარი და მოწყობილობა	267,563,349
სამხედრო იარაღის სისტემები	1,545,353
სულ ჯამი:	433,337,150

აპარატის ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქვედანაყოფების მიერ წარდგენილი⁵² ინფორმაციისა და მათ მიერ ბუღალტრულად აღრიცხული თანხების შედარება.⁵³ „საცხოვრებელი შენობების“ და „სხვა ნაგებობების“ მუხლებში გამოვლენილი სხვაობები კორექტირებულია „წინა წლების შეცდომების გასწორების“ მუხლით. აღსანიშნავია, რომ არ განხორციელებულა გამოვლენილი უზუსტობების გამომწვევი მიზეზების დეტალური მოკვლევა.

2020 წელს განხორციელდა „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლის კორექტირება,⁵⁴ სამინისტროს განმარტებით, კორექტირების მიზეზია ის გარემოება, რომ აღნიშნული აქტივები აღრიცხული იყო როგორც „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში, ასევე „არასაცხოვრებელი შენობების მუხლში“. შესაბამისად, დაკორექტირდა დუბლირებულად ასახული აქტივები.

თუმცა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ნაწილი, ნაცვლად ჩამოწერისა, ექვემდებარებოდა „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლში რეკლასიფიცირებას.⁵⁵ შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი შემცირებულად არის წარმოდგენილი, თუმცა ჩვენ ვერ შევძელით ზუსტი გავლენის დადგენა.

განმარტებით აუდიტის ანგარიშის დამტკიცების მომენტისათვის კომისიის მუშაობა დასრულებულია და შესაბამისი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინება თავდაცვის ძალების მეთაურს, რომლის დამტკიცების შემდგომ მოხდება ამ ინფორმაციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

⁵¹ მიღება-ჩაბარების აქტი N474728 (09.06.2020).

⁵² საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის N233 ბრძანება.

⁵³ სამხედრო აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობრივ-თანხობრივი ინფორმაცია.

⁵⁴ კორექტირება განხორციელდა „წინა წლების შეცდომების გასწორების“ სახით.

⁵⁵ შენობის საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები - 2014 წლის 4 ივლისის ხელშეკრულება N14/52 (წერილი N00290100, 01.04.2021).

„სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა“ მუხლის კორექტირების დიდი ნაწილი (92%) გამოწვეულია სამინისტროს აპარატსა და ქვედანაყოფის ნაშთებს შორის შეუსაბამობით, რომელიც სამინისტროს განმარტებით, მომდინარეობს 2016 წლიდან და დაკავშირებულია ქვედანაყოფების მიერ წლების განმავლობაში აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი, ღირებულების გარეშე აღრიცხვის სისტემასთან.

სამინისტროს მიერ „ძირითადი აქტივების“ მუხლის ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად და სამართლიანად წარდგენის მიზნით განხორციელებული ქმედებები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ვერ მოხდა კორექტირებული ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება და არ განხორციელებულა უზუსტობების გამომწვევი მიზეზების დეტალური მოკვლევა.

1.4.5 „დელტა“ – ძირითადი აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **დელტას** ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი შეადგენს 78,889,583 ლარს.⁵⁶ ამ მუხლთან დაკავშირებით აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება:

- არასაცხოვრებელი შენობებისა და სხვა ნაგებობების ნაწილი წარმოდგენილია ღირებულების გარეშე;⁵⁷
- ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილზე სარგებლობის უფლება რეგისტრირებული არ არის;
- სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობის ნაწილი ღირებულების გარეშეა წარმოდგენილი;⁵⁸
- სხვა მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების ანგარიშზე ირიცხება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და ფიზიკურად ამორტიზებული მატერიალური ქონება, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დელტას 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „შენობა-ნაგებობების“ მუხლზე ირიცხება ობიექტები,⁵⁹ რომელთა იდენტიფიცირება გართულებულია და ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება აღნიშნული აქტივების არსებობასა და სიზუსტეზე.

1.4.6 დაუმთავრებელი მშენებლობა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **დელტას** ბალანსზე რიცხული 2,001,458 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა უკავშირდება 2013 წელს დელტას მიერ შპს „სამშენებლო

⁵⁶ დელტაში კანონმდებლობით სავალდებულო უძრავი ქონების ინვენტარიზაცია 2020 წელს არ ჩატარებულა.

⁵⁷ 7 ერთეული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა და 14 ერთეული სხვა ნაგებობა, რომელიც მიღებულია სს „თამ“ თბილავიამშენისგან უზუფრუქტით.

⁵⁸ 172 დასახელების აქტივი.

⁵⁹ მაგალითად: „ცივი“, „შაქრიანი რადარის ტერიტორიაზე შემოღობვის სამუშაოები“, „კრწანისის საჯაროს ცენტრი“, „ავტოფარების მოწყობა“, „აეპ და საკაბელო ხაზები“, „გო-ს ნაგებობა“ და სხვ.

კომპანია-მშენებელი 2011“-ისგან⁶⁰ სამშენებლო მასალების შესყიდვას.⁶¹ აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე ანგარიშების წარდგენა დაევალა დელტას დაქვემდებარებაში მყოფ საინჟინრო სამსახურს.⁶²

დელტამ ვერ წარმოადგინა საინჟინრო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშები, რის გამოც ვერ მოხერხდა შესრულებული სამუშაოს ზუსტი მოცულობის შეფასება და თავდაცვის სამინისტროსთვის გადაცემა.⁶³

1.4.7 ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დელტას ბალანსზე – „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების“ ანგარიშზე ირიცხება 4,568,178 ლარის ღირებულების აქტივი, რომელიც მოიცავს როგორც დაშლილ მდგომარეობაში დასაწყობებული აქტივების, ასევე დელტას წარმოების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით შესყიდულ მომსახურებას.⁶⁴ აღნიშნულის ფარგლებში ჩატარებულია ტრენინგები. ორგანიზაციისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელია აქტივისა და მომსახურების ღირებულების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

დელტას მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აქტივის სამომავლო გამოყენების გეგმა.⁶⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რამდენად არის მოსალოდნელი აღნიშნული აქტივისგან რაიმე სახის სარგებლის მიღება და რამდენად აკმაყოფილებს ის, აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.⁶⁶

1.4.8 ძირითადი აქტივების ცვეთა

2020 წელს დელტას ბალანსზე რიცხულ 25 ერთეულ ძირითად აქტივზე განხორციელდა წინა წლებში დაურიცხავი ცვეთის დარიცხვა – ჯამურად, 150,050 ლარის ოდენობით.⁶⁷ ოპერაცია, ნაცვლად წინა პერიოდის შეცდომების კორექტირებისა, აისახა მიმდინარე ცვეთის ხარჯის ანგარიშზე.

დელტას ბალანსზე რიცხულ 119 ძირითად აქტივზე არ არის დარიცხული ცვეთის ხარჯი 326,645 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლის საწყისი ნაშთი წარმოდგენილია გაზრდილად, 150,050 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წლის „ცვეთის ხარჯის“ მუხლი – 218,437 ლარით შემცირებულად.

⁶⁰ შპს „სამშენებლო კომპანია-მშენებელი 2011“ დელტას შვილობილი კომპანიაა, 2020 წლის 31 ივლისს შპს-ს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა „დელტა მშენებელი“.

⁶¹ 2013 წლის 20 მაისის N04 ხელშეკრულება (გრიფით „საიდუმლო“).

⁶² 2013 წელს 13 მაისის N031 ბრძანებით (გრიფით „საიდუმლო“).

⁶³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 28 აპრილის N01982 წერილის (გრიფით „საიდუმლო“) მიხედვით სამხედრო პოლიციაში მიმდინარეობს გამოძიება.

⁶⁴ ადგილობრივი პერსონალის მომზადება და მუდმივი კვალიფიკური კონსულტაციების გაწევა.

⁶⁵ სამინისტროს განმარტებით პროექტის ათვისების პროცესი დაწყებულია.

⁶⁶ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2021 წლის 28 აპრილის N01982 წერილის (გრიფით „საიდუმლო“) მიხედვით. მიმდინარეობს გამოძიება.

⁶⁷ აქტივები მიღებულია 2009, 2015 და 2016 წლებში.

აღსანიშნავია, რომ დელტა არ ატარებს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ინვენტარიზაციას, რაც ხელს უშლის შეჩერებული შეკვეთებისა და სამშენებლო სამუშაოების, ასევე ექსპლუატაციაში შესული ძირითადი აქტივების დროულ იდენტიფიცირებას.

- 2015 წელს დელტამ სს „თამ“ თბილავიამშენს დაუბრუნა უზუფრუქტით გადმოცემული⁶⁸ უძრავი ქონების ნაწილი, რომელიც მოიცავდა საამწყოზო საწარმოს შენობას⁶⁹ და ადმინისტრაციული შენობის ნაწილს.⁷⁰ საწარმოს შენობა დელტას ბალანსიდან ჩამოიწერა 2020 წელს,⁷¹ ადმინისტრაციული შენობის ნაწილი კვლავ ირიცხება მის ბალანსზე;
- დელტას ბალანსზე ირიცხება 21,375,056 ლარის საბალანსო ღირებულების სპეციფიკური აქტივი, რომლის საკუთრების უფლება 2012 წელს გადაეცა სამინისტროს.⁷²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთის არსებობაზე, სისწორესა და სიზუსტეზე.

სამინისტროში ძირითადი აქტივების აღრიცხვაში არსებული პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე, ძირითად აქტივებში არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრა გრძელვადიანი პროცესია.

1.5 შემოსავლები

სამინისტროს ტერიტორიაზე განთავსებულია, დაახლოებით, 22 სავაჭრო აპარატი,⁷³ რომლებზეც არ არის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. შესაბამისად, სამინისტრო აღნიშნული წყაროდან შემოსავლებს არ იღებს.

თავდაცვის სამინისტროს „ჯი პი აი“ ჰოლდინგთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, რომლის მიხედვითაც სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ჰოსპიტალი წარმოადგენს ერთ-ერთ პროვაიდერ კლინიკას. სადაზღვევო კომპანიის მიერ ორგანიზაციისთვის თანხის ანაზღაურება ხდება კაპიტაციის მეთოდით,⁷⁴ 2020 წელს ჰოსპიტალის მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ შეადგენდა 2,221,602 ლარს, ხოლო კაპიტაციის მეთოდით სადაზღვევო კომპანიამ აუნაზღაურა 1,419,298 ლარი. ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით ვერ ხერხდება 2020 წელს ჰოსპიტალის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვადგენთ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ფინანსურ შედეგს.

⁶⁸ 2013 წლის 20 მაისი, უზუფრუქტის ხელშეკრულება N16/სს.

⁶⁹ ს/კ: 01.19.35.007.082 - ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 391,532.68 ლარს.

⁷⁰ ადმინისტრაციული კორპუსის მე-3 და მე-4 სართულები, რომელთა ღირებულებები არ არის განსაზღვრული.

⁷¹ 2020 წლის 30 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი (უნომრო).

⁷² ხარვეზი გამოსწორებულია 2021 წელს.

⁷³ ყავის, კვების სხვადასხვა პროდუქტის აპარატები.

⁷⁴ კაპიტაციის მეთოდი - ანგარიშსწორების ისეთი მეთოდი, როდესაც მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შეთანხმებული პერიოდულობით, წინასწარ შეთანხმებული თანხების გადახდით, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია მზღვევლის გარკვეულ სადაზღვევო სქემაში გაერთიანებული დაზღვეულების რაოდენობაზე.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბას 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ – მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.⁷⁵

დელტასა და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს შორის ადგილი აქვს მნიშვნელოვანი ღირებულების და რაოდენობის ოპერაციებს (მომსახურების მიღება, ნედლეულის/საქონლის ყიდვა-გაყიდვა, გადაცემა და სხვ.). ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და მათი სამართლებრივი შედეგები განსხვავდება დელტას მიერ სხვა არადაკავშირებულ ორგანიზაციებთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობისგან. გარკვეულ შემთხვევებში, სამინისტროს დაკავშირებული კომპანიების მიერ შეკვეთები მნიშვნელოვანი დაგვიანებით მიეწოდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ძველი პერიოდის ოპერაციებს და შეიცავს არამიზნობრივი ხარჯვის მნიშვნელოვან რისკებს.

- 2020 წლის მონაცემებით დაკავშირებულ მხარეებზე ირიცხება ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომლებზეც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ოპერაციები არ განხორციელებულა. დოკუმენტაციის⁷⁶ მიხედვით, 2011 წელს უნდა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი პროექტი, რაც მოიცავდა სხვადასხვა აქტივის შემოტანისა და წარმოების შესაძლებლობის შესწავლას. პროექტის ფარგლებში დელტამ და ერთ-ერთმა პარტნიორმა არარეზიდენტმა კომპანიამ საქართველოში დააფუძნეს ერთობლივი საწარმო.⁷⁷ სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საწარმოს უნდა მიეღო გარკვეული სახის ტექნიკის წარმოების ნებართვა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სულ დახარჯულია 8,346,963 ლარი, რაც, სავარაუდოდ, წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს, ვინაიდან პროექტის მიზნები მიღწეული არ არის და გაურკვეველია აქტივებისა და მიღებული მომსახურების დანიშნულება. აღნიშნული საკითხი აუდიტის სამსახურის მიერ 2014 წელს გაგზავნილია სამართალდამცავ უწყებაში.⁷⁸

⁷⁵ სსბას 20, მუხლები: 27-41.

⁷⁶ 2011 წლის 23 თებერვლის ხელშეკრულება („გრიფით „საიდუმლო“).

⁷⁷ საერთო საწარმოში სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ - „დელტას“ და კონტრაქტორი კომპანიის წილი 50%-ით განისაზღვრა.

⁷⁸ აღნიშნული საკითხი ასახულია თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში.

- 2020 წელს „დელტამ“ ჩამოწერა შპს „თბილავიამშენის“ მიმართ 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულების⁷⁹ ფარგლებში გადარიცხული ავანსის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა – 1,332,191 ლარის ოდენობით. ჩამოწერის საფუძველი იყო მორიგების აქტი⁸⁰ დელტას, კომპანიასა და სამინისტროს შორის. სამინისტროს მიერ შპს „თბილავიამშენისთვის“ ასანაზღაურებელი თანხა⁸¹ გაიქცითა დელტას მიმართ არსებულ „თბილავიამშენის“ ვალდებულებაში.
- სამინისტროს სს „თამ“ თბილავიამშენთან არსებული სასამართლო დავების⁸² პირობებში, 2020 წელს გაფორმებული აქვს 46,773,577 ლარის სხვადასხვა ხელშეკრულება.

2.2 კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კრედიტორული დავალიანებების ნაშთი შეადგენს 75,125,503 ლარს, საიდანაც 99% აპარატის დავალიანებებია.

დებიტორული/კრედიტორული დავალიანების შემსწავლელი კომისიის ოქმების საფუძველზე ჩამოიწერა 14,752,186 ლარის დავალიანება, რომელიც წარმოშობილი იყო 1997-2010 წლებში.

აპარატის ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანების 63% წარმოადგენს საქონლის განბაჟების შედეგად ბიუჯეტის წინაშე არსებულ დავალიანებას – 47,132,335 ლარის ოდენობით.

2.3 ხარჯები

დელტა მიმდინარე შიდა სარემონტო სამუშაოებს ასრულებს უშუალოდ თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

2020 წელს მიმდინარე რემონტის ხარჯი⁸³ შეადგენს 262,837 ლარს. ორგანიზაციაში შიდა სარემონტო სამუშაოების დროს არ ხდება პროექტის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, რის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს კონკრეტულ ობიექტზე საჭირო რაოდენობის მასალებისა და დანახარჯების მოცულობა. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი 2020 წელს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები.

გახარჯული მასალები აღირიცხება მარაგების/დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, სანამ არ დაიხურება შესაბამისი შეკვეთა, ხოლო შეკვეთა ხშირად იხურება ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.

2.4 დელტას საწარმოო პროცესისა და

დელტა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენს. დებულების მიხედვით,⁸⁴ სხვადასხვა დანიშნულებასთან ერთად, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა მრეწველობაში სამხედრო დანიშნულების ნაკეთობების სერიული ათვისების, წარმოების ორგანიზება. გარდა აღნიშნულისა, სამხედრო თავდაცვითი დანიშნულების შეკვეთების

⁷⁹ 2015 წლის 30 მარტის ხელშეკრულება N014 (გრიფით „საიდუმლო“).

⁸⁰ 2020 წლის მორიგების აქტი N 0375 (გრიფით „საიდუმლო“).

⁸¹ 2020 წელს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა შპს „თბილავიამშენის“ მიმართ ანაზღაურების ვალდებულება.

⁸² 2007-2018 წლებში სამინისტროს მიმართ წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით.

⁸³ შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი.

⁸⁴ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის N139 ბრძანება.

კონტროლის ნაკლოვანებები

შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციამ უნდა შეისწავლოს საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო-ტექნოლოგიური ბაზის შესაძლებლობები.

მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული განვითარების პოლიტიკა, რომლითაც დეტალურად უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის საქმიანობა და საწარმოო მიმართულებები, სიმძლავრეები და წარმადობა, რაც აფერხებს პროცესების ეფექტიანობას.⁸⁵

გარდა აღნიშნულისა, 2017-2020 წლების განმავლობაში, **დელტა** სამინისტროსთვის უზრუნველყოფს ჯავშან-ჟილეტების, ჩაფხუტების, მედლების დამზადებას, რომლისთვისაც ნედლეულის შეძენის მიზნით გათვალისწინებული ყოველწლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 3 მლნ ლარს შეადგენს.⁸⁶ **დელტას** მიერ შეკვეთების დაგვიანებით დასრულების გამო, სამინისტროს აქტივები დაგვიანებით მიეწოდა.⁸⁷ ნაკლოვანებებშიმედგე მიმართულებით გამოიკვეთა:

- **დელტაში** არ ხორციელდება დანახარჯების შესაბამისი აღრიცხვა⁸⁸ და შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების სათანადო კალკულაცია,⁸⁹ ვინაიდან არ არის ჩამოყალიბებული კალკულაციის პრინციპები. თვითღირებულებაში შემავალი დანახარჯების ელემენტები და მათი მოცულობა განსხვავებულია დამკვეთის მიხედვით, რაც დაუსაბუთებელია.⁹⁰

ორგანიზაციის განმარტებით, ნაკლოვანებების და გამოწვევების საპასუხოდ მიმდინარეობს სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, ორგანიზაციამ 2021 წელს დაამტკიცა ნაკეთობის თვითღირებულების დაანგარიშების წესი,⁹¹ რომლის მიხედვითაც ხდება კონკრეტული შეკვეთის ფარგლებში კალკულაციის შედგენა და წარდგენა.

2.5 კონტროლის სხვა ნაკლოვანებები

2.5.1 ანალიზური აღრიცხვა

დელტას არ აქვს ლოგისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, მოძრაობასა და კონტროლს. ცენტრალურ საწყობში მიღებული მასალები აღირიცხება Microsoft Excel-ის ფაილებში. აღრიცხვის პროცესი სრულად მანუალურია,⁹² როგორც ცენტრალურ საწყობში, ასევე საწარმოს სხვა საწყობებში.

⁸⁵ აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია 2005 წლიდან საქმიანობს.

⁸⁶ აღნიშნული თანხა გამოყოფილია სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში.

⁸⁷ მაგალითად, 2017 წლის შეკვეთა მიწოდებულია 2018-2019 წლებში, ხოლო 2018 წლის - 2019-2020 წლებში, 2019 წლის შეკვეთა კი - 2020-2021 წელს.

⁸⁸ არ ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯებისა და დაგეგმილი ხარჯების აღრიცხვა, ანალიზი, რათა შესწავლილ იქნეს გადახარჯვა. ფაქტობრივი თვითღირებულების დათვლას ახორციელებს ფინანსებისა და დაგეგმარების დეპარტამენტი, რომელსაც მთლიანი შეკვეთის დასრულებისას საწარმოები უგზავნიან გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტებს და მათი ღირებულების მიხედვით დგება საბოლოო კალკულაცია. რაც შეეხება თვითღირებულების სხვა ელემენტებს: პირდაპირი შრომის ანაზღაურება, საწარმოო ზედნადები ხარჯები, ენერგო-დანახარჯები, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი - აღნიშნული ხარჯების თვითღირებულებაში გათვალისწინება არ ხორციელდება.

⁸⁹ თვითღირებულების კალკულაციის ამოცანაა დაადგინოს, რამდენია პროდუქციის ერთეულზე გაწეული ცალკეული სახის ხარჯები: პირდაპირი მასალა, პირდაპირი შრომის დანახარჯები და არაპირდაპირი ხარჯები.

⁹⁰ სხვა დამკვეთებისგან განსხვავებით, თუ პროდუქცია მზადდება თავდაცვის სამინისტროსთვის, თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები მოიცავს მხოლოდ მასალის ხარჯს, ენერგო-დანახარჯებს, წარმოების, ინფრასტრუქტურის შენარჩუნების ხარჯს და დღგ-ს, მაშინ როცა ძირითად ხარჯებს მიეკუთვნება ასევე პირდაპირი მასალისა და შრომის ხარჯი.

⁹¹ 2021 წლის 15 მარტი - „თვითღირებულების დაანგარიშების წესი“.

⁹² დელტას განმარტებით, თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამის შექმნა.

ორგანიზაციაში მასალების მიღების პროცესს ახორციელებს ცენტრალური საწყობი, რომელშიც განთავსებულია პირველადი დროებითი დაყოვნების საწყობი. როდესაც მასალები ფიზიკურად შედის საწყობში, ხშირ შემთხვევაში მიღება-ჩაბარებები არ ფორმდება იმავე დღეს.

მასალები, საწარმოებს გადაეცემა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე და ფორმდება მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. წარმოებიდან დარჩენილი ნედლეული ბრუნდება ცენტრალურ საწყობში, თუმცა არ ხდება წარმოების შემდგომ დარჩენილი მასალების რაოდენობის კონტროლი.

დელტას საწარმოების საცავებში ინახება არა მარტო მისი მატერიალური მარაგები, არამედ დაკავშირებული მხარეების აქტივები, რომლის იდენტიფიცირება და გამიჯვნა რიც შემთხვევებში შეუძლებელია. დელტას განმარტებით დაკავშირებული მხარეების მიერ მიმდინარეობს საკუთარი სასაწყობო მეურნეობების მოწყობა.

ორგანიზაციაში სუსტი კონტროლის მექანიზმების პირობებში, არსებობს მარაგების დანაკარგის რისკი, რაც აუდიტის მიმდინარეობისას თავად ორგანიზაციამ გამოავლინა.⁹³

ზემოაღნიშნული გარემოებები დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორიცაა მასალების დანაკარგები, არამიზნობრივი ხარჯვა და სხვა.

აუდიტის მიმდინარეობისას, ხელმძღვანელობისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაიწყო ორგანიზაციაში კონტროლის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, ამასთანავე, შესაძლო დანაშაულის ნიშნების შემცველი საკითხები შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ იგზავნება სამართალდამცავ უწყებებში, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

2.5.2 ბუღალტრული აღრიცხვა

სამხედრო ქვედანაყოფებში არ არის დანერგილი საწყობის სპეციალიზებული პროგრამა, ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს Microsoft Excel-ში, ქვედანაყოფებში არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა. სამინისტროს საბუღალტრო სამსახურის მიერ აქტივები აღრიცხება ჯამურად, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს.

სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს Microsoft Excel-ის საშუალებით, თუმცა ეს აღრიცხვა არასრულყოფილი და არაზუსტია. კერძოდ, საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები და მოგება-ზარალის ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამის არარსებობა ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს.

2.6 სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამინისტროსა და მის

⁹³ 2020 წლის 10 დეკემბრის შიდა აუდიტის დასკვნა; MOD 5 20 01126856.

დაქვემდებარებულ სტრუქტურებს არ აქვთ შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.

სამინისტროს მთლიან სტრუქტურაში არ არის დანერგილი:

- მარაგების შეფასებისა და კაპიტალიზების პოლიტიკა.
- სპეციფიკური დანიშნულების საქონლის აღრიცხვისა და შეფასების პოლიტიკა.

დელტას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2,170,747 ლარის სხვადასხვა დასახელების სპეციფიკური დანიშნულების მარაგი. შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობის პირობებში, გაურკვეველია აღნიშნული ქონებიდან რა ნაწილი წარმოადგენს მარაგს და რა ნაწილის კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს „ძირითადი აქტივების“ მუხლში.

2.7 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სასამართლო დავების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁹⁴

სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

2.8 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2020 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ:

- **აპარატის და აკადემიის** მიერ განხორციელებული ინვენტარიზაციის⁹⁵ შედეგები არ არის ასახული 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- **სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის – „დელტას“** მიერ არ ჩატარებულა 2020 წლის უძრავი ქონების, ასევე მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია;⁹⁶

⁹⁴ სსპასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

⁹⁵ 2020 წლის 28 დეკემბრის საინვენტარიზაციო აქტი N498.

⁹⁶ დელტას გენერალური დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის ბრძანებით N MOD 2 21 00000438 შეიქმნა მოთხოვნების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია.

- სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის – „დელტას“ 2020 წლის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცესი ამ დრომდე არ დასრულებულა;
- სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას 2020 წელს არ ჩატარებია ინვენტარიზაცია.

2020 წელს სამინისტროში არ ჩატარებულა მოთხოვნების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად.

2.9 ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის ანაზღაურების კონტროლის ნაკლოვანებები

2020 წელს სამინისტროში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა 411,259,393 ლარი შეადგინა, აღნიშნული მუხლის უდიდეს ნაწილს⁹⁷ წარმოადგენს სამინისტროს აპარატის მიერ გაცემული შრომის ანაზღაურება, რომლის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი N5. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა

შრომის ანაზღაურება	387 186 424	100%
თანამდებობრივი სარგო	50 168 641	13%
წოდებრივი სარგო	222 783 899	58%
ჯილდო/პრემია	1 594 131	0.4%
დანამატი	105 386 666 ⁹⁸	27%
კომპენსაცია	7 253 087	2%

2020 წელს სამხედრო მოსამსახურეებზე გაცემული 3,274,535 ლარის ოდენობის დანამატი⁹⁹ არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

შრომის ანაზღაურების პროცესი სამინისტროს სტრუქტურის სირთულისა და კომპლექსურობის გამო ხასიათდება სხვადასხვა კონტროლის ნაკლოვანებებით:

- სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფების სამოქალაქო, სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირების აღრიცხვიანობა იწარმოება ბრძანებების¹⁰⁰ შესაბამისად, მხოლოდ მატერიალური სახით პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობის წიგნებში, სამსახურებრივი ჩანაწერების უბის წიგნებსა და სადღეღამისო უწყისებში. სამინისტროს ქვედანაყოფებში არსებული დასწრება-აღრიცხვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამუშაო საათებში მომუშავეთა გადაადგილების ეფექტიან კონტროლს;
- ქვედანაყოფების მიერ, მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების გაანგარიშება ხორციელდება „ხელფასების დარიცხვის პროგრამის“ გამოყენებით, პროგრამას არ აქვს მონაცემთა სრულყოფილი შენახვის სისტემა – არ ინახება მოსამსახურის ისტორია და თანამშრომლების

⁹⁷ 387,186,424 ლარი, რაც წარმოადგენს მთლიანი „შრომის ანაზღაურების“ მუხლის 94%-ს.

⁹⁸ აღნიშნული თანხიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან წილს სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის კანონით მინიჭებული დანამატები შეადგენს (წლთა ნამსახურება, წოდება, მრავალშვილიანობა და სხვ.).

⁹⁹ ბრძანებები (გრივით „საიდუმლო“).

¹⁰⁰ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1998 წლის 23 მარტის N94 ბრძანება - „დარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის აღრიცხვის წარმოების შესახებ“ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 23 ივნისის N191 ბრძანება „საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურის წესის, კვების ორგანიზების და პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობის შესახებ (ოცეული, ასეული, ბატალიონი, ბრიგადა)“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

შესახებ ხელმისაწვდომია მხოლოდ მიმდინარე ინფორმაცია. შედეგად, შეუძლებელია შედარდეს ხაზინისა და სახელფასო პროგრამებიდან ამოღებული წინა პერიოდების უწყისები. აღნიშნული კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა. სამინისტროს განმარტებით, ამ ხარვეზის გამოსასწორებლად დაგეგმილია ახალი სახელფასო პროგრამის შემუშავება;

- ფინანსების მართვის დეპარტამენტს ქვედანაყოფისგან დანამატის შესახებ ინფორმაცია, გარდა წელთა ნამსახურების დანამატისა, მიეწოდება ჯამური სახით. დანამატები ერთ-ერთი კომპლექსური და მაღალი რისკის შემცველი საკითხია, როგორც მისი სწორად მიკუთვნების, ასევე სწორად დაანგარიშების თვალსაზრისით;
- 2019 წლიდან სამინისტროს ქვედანაყოფების შესაბამისი¹⁰¹ სამსახურები თანამშრომელთა სიითი შემადგენლობის ზუსტი ოდენობის განსასაზღვრად იყენებენ „ადამიანური რესურსების მართვისა და ანგარიშგების“ მოდულს (შემდეგ – HRMS). HRMS სისტემის დანერგვამდე სამინისტროში გამოიყენებოდა მსგავსი ტიპის პროგრამა სახელწოდებით – „ფარი“. აღსანიშნავია, რომ „ფარში“ თანამშრომელთა შესახებ არსებული მონაცემები შეიცავდა გარკვეულ უზუსტობებს, ხოლო აღნიშნული პროგრამიდან HRMS-ში მონაცემების გადმოტანის დროს, უზუსტობების გამოვლენა და შეცდომების გასწორება ცენტრალურ დონეზე არ განხორციელებულა. სამინისტროს მიერ წინა პერიოდში არსებული ინფორმაციული უზუსტობების გასწორება პერიოდულად მიმდინარეობს.

გარდა ამისა, HRMS მოდულში მომუშავე თანამშრომლებს აქვთ წინა პერიოდის ინფორმაციის რედაქტირების¹⁰² შესაძლებლობა, რაც წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს.

დელტა

სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ 2020 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 20,304,468 ლარის ხარჯი (რაც მთლიანი ასიგნების 63%-ს შეადგენს), მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაზე – 18,262,895 ლარი, ხოლო შტატით მომუშავეებზე – 2 041 573 ლარი.

შრომის ანაზღაურების დარიცხვის/გადარიცხვის პროცესის აღსრულებაში, ძირითადად, მონაწილეობს ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველო და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. შრომის ანაზღაურების პროცესი ხასიათდება სხვადასხვა კონტროლის ნაკლოვანებებით:

- ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს ბუღალტერი Microsoft Excel-ის სახელფასო ფაილში ასახულ ინფორმაციას ადარებს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან Excel-ის ფაილით მიღებულ ინფორმაციას, ახდენს არსებული ინფორმაციის და კადრებიდან მოწოდებული ფაილების შეჯერებას,

¹⁰¹ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (G-1), საფინანსო სამსახური (S-1).

¹⁰² შეუძლა HRMS მოდულში, მისი ხედვის არეში მყოფი ნებისმიერი თანამშრომლის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება.

სახელფასო ბაზასთან, მოწოდებული ასანაზღაურებელი საათების შესაბამისად ითვლის ანაზღაურებას და ახდენს ხელფასების დარიცხვას. 1500-ზე მეტი ერთეულის სახელფასო ბაზის დამუშავებას, შედარებას კადრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან და ხელფასების დარიცხვას/გადარიცხვას ახორციელებს მხოლოდ ორი ბუღალტერი. შესაბამისად, არსებობს ადამიანური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის რისკი.

„დელტას“ ტერიტორიაზე მანქანით შესული თანამშრომლების შესვლა-გასვლის აღრიცხვა ხდება მანუალურად. ასევე, დელტას ტერიტორიის ერთ-ერთ შესასვლელთან არ მოქმედებს ტურნიკეტული სისტემა და აღრიცხვა ხორციელდება ჟურნალებში ხელით (დაცვის თანამშრომელი ავსებს სპეციალურ ჟურნალს, რომელსაც ყოველი კვირის ბოლოს დასკანერებული სახით აწვდის კადრებს), რაც არ გამორიცხავს უზუსტობებს.¹⁰³

2020 წელს ზოგიერთ თანამშრომელს ხელფასი ერიცხებოდა როგორც „დელტაში“, ასევე მის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ებსა და სხვა ორგანიზაციებში,¹⁰⁴ რაც ნამუშევარი საათებისა და შესრულებული სამუშაოების გამიჯვნას შეუძლებელს ხდის.

¹⁰³ დელტას განმარტებით, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მანქანით შემოსული თანამშრომლების აღრიცხვა.

¹⁰⁴ მაგალითად: კერძო კომპანია - სს „რუსთავის აზოტის“ მოქმედი ხუთი თანამშრომელი, რომლებიც ასევე მუშაობდნენ დელტაში, განთავისუფლდნენ 2020 წლის ივლისიდან, შიდა აუდიტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

თამარ ბარბაქაძე

უფროსი აუდიტორი

მანანა დავითური

მთავარი აუდიტორი

სესილი ტაბატაძე

წამყვანი აუდიტორი

ნათია ტეფნაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ქეთევან ჩახვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ილია კოჭორიძე

აუდიტორ-ასისტენტი

თ. ბარბაქაძე

მ. დავითური

ს. ტაბატაძე

ნ. ტეფნაძე

ქ. ჩახვაძე

ი. კოჭორიძე

კონსოლიდირებული ერთეულები

2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:

- სამინისტროს აპარატი
- სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“
- სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
- სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
- სსიპ – თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
- სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
- სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
- სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
- სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო
- სსიპ – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი
- სსიპ – რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი
- სსიპ – მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი
- სსიპ - ინსტიტუტი „ოპტიკა“

**ფინანსური
ანგარიშგების
ფორმები და ახსნა-
განმარტებითი
შენიშვნები**

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში;
 - ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში;
 - წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება;
 - ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში;
 - ფინანსური ანგარიშგების დანართები და ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები.
-

ორგანიზაციის დასახელება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

29 00

ფინანსური ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრისათვის
კორექტირებული

პერიოდულობა: წლიური/კვარტალური

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

დამრგვალების დონე: ერთეული

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:
ივანე ჯაფარიძე



თარიღი: 18.06.2021 წ

მთავარი ბუღალტერი:
ია დეკანოზიძე



თარიღი: 18.06.2021 წ



ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება				
მუხლები		შენიშვნა	საანგარიშგებო (2020) წელი	საანგარიშგებო წლის წინა (2019) წელი
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	S2	763,000.00	1,569,000.00
002	მიმდინარე ინვესტიციები	S2a	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	S2a	31,940,425.00	30,372,973.00
004	მატერიალური მარაგები	S3	763,124,737.00	828,149,986.00
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	S4	406,388,603.00	394,350,250.00
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		1,202,216,765.00	1,254,442,209.00
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	S5	35,946,417.00	48,413,776.00
008	ძირითადი აქტივები	S6	2,766,448,742.00	2,580,893,239.00
009	საინვესტიციო ქონება	S7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	S8	9,628,082.00	6,160,635.00
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	S9	-	-
012	ფინანსური იჯარით აქტივები	S10	-	-
013	სხვა არაფინანსური აქტივები	S11	53,820,956.00	272,660,794.00
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		2,865,844,197.00	2,908,128,444.00
015	სულ აქტივები		4,068,060,962.00	4,162,570,653.00
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	S12	-	-
017	კრედიტორული დავალიანება	S13a	75,125,503.00	60,256,206.00
018	გადასახდელი პროცენტი	S13a	-	-
019	მიმდინარე ანარიცხები	S13b	-	-
020	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	S13a	626.00	1,512.00
021	ვალდებულებები დივიდენდებით	S13g	3.00	2,714.00
022	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	S13g	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		75,126,132.00	60,260,432.00
გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	S12	-	-
025	გრძელვადიანი კრედიტები და სესხები	S12	-	-
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარით	S10 S12	-	-
027	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრძელვადიანი	S9 S12	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	S13d	-	-
029	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	S13a	14,556,726.00	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,556,726.00	-
031	სულ ვალდებულებები		89,682,858.00	60,260,432.00
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
032	შეტანილი კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		3,978,378,104.00	4,102,310,221.00
034	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		3,978,378,104.00	4,102,310,221.00
035	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		4,068,060,962.00	4,162,570,653.00
საერთაშორისო ანგარიშები				
036	საოპერაციო იჯარით მიღებული ძირითადი აქტივები	01		
037	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები	02	275,440	
038	გადახდის უნარი დებიტორების ჩამოწერილი დავალიანებები	03	33,248,926	
039	ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში	04	87,422,363	
040	პირობითი აქტივები	05	3,619	
041	პირობითი ვალდებულებები	06		
042	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
043	სრულად გაცემილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში	08	243,629,950	
044	ვადგადაცემილი დავალიანებები	09	22,098,258	
045	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	33,654,652	
046	სადასრულო გრძელვადიანი აქტივები	11	99,681	
047	ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებები	12	14,752,166	
048	აქტივების განაწილება სამხრეთ მოქმედებების შედეგად	13	113,305,366	

ფინანსური მართვის დეპარტამენტის უფროსი

სამინისტროს მთავარ ბუღალტერი

ივანე ჯაფარიძე


ია დეკანოზიძე

წინადა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგან						
საანგარიშგები (2020) წელი						
იდი	შენიშვნა	კაპიტალში შენიშვნები	გაუნაწილებელი ნაშთი/დეფიციტი სამიუჯრეტო სახსრები	გაუნაწილებელი ნაშთი/დეფიციტი საკუთარი სახსრები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი	
10	საწყისი ნაშთი	0	4,747,427,769	62,804,287	4,810,232,056	
11	საღარიბეო პოლიტიკის ცვლილებები	SI	36,762,537	0	36,762,537	
12	არსებითი შეცდომების კორექტირებები (წინა პერიოდების შეცდომები)	SI	(724,870,668)	(19,813,704)	(744,684,372)	
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	0	4,059,319,638	42,990,583	4,102,310,221	
14	წინადა აქტივების/კაპიტალის ცვლილება	0	(125,522,246)	1,590,129	(123,932,117)	
15	დამფუძნებლების შენატანები					
16	პერიოდის ნაშთი (დეფიციტი)		(125,522,246)	1,590,129	(123,932,117)	
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები					
18	საბოლოო ნაშთი	0	3,933,797,392	44,580,712	3,978,378,104	

საანგარიშგები წლის წინა (2019) წელი						
იდი	შენიშვნა	კაპიტალში შენიშვნები	გაუნაწილებელი ნაშთი/დეფიციტი სამიუჯრეტო სახსრები	გაუნაწილებელი ნაშთი/დეფიციტი საკუთარი სახსრები	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი	
10	საწყისი ნაშთი		4,591,519,084	63,166,585	4,654,685,669	
11	საღარიბეო პოლიტიკის ცვლილებები				0	
12	არსებითი შეცდომების კორექტირებები (წინა პერიოდების შეცდომები)				0	
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	0	4,591,519,084	63,166,585	4,654,685,669	
14	წინადა აქტივების/კაპიტალის ცვლილება	0	155,908,685	(362,298)	155,546,387	
15	დამფუძნებლების შენატანები					
16	პერიოდის ნაშთი (დეფიციტი)		155,908,685	(362,298)	155,546,387	
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები					
18	საბოლოო ნაშთი	0	4,747,427,769	62,804,287	4,810,232,056	

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგან

ივანე ჯავახიშვილი



ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგან

ივანე ჯავახიშვილი

**შენიშვნა № 1 - სააღრიცხვო პოლიტიკები
კორექტირებული**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების
შენიშვნები**

შესავალი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დანიშნულებაა საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობა, მისი მუდმივი საბრძოლო და სამოხილჩააციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა, ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება.

სამინისტროში დასაქმებულნი არიან სამხედრო მოსამსახურეები, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები.

სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტებით.

სამინისტრო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ და შედგენილია უშუალოდ სამინისტროსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულ დანერგვამდე სამინისტროს მიერ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ძირითადად, დარიცხვის მეთოდით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულია საკასო მეთოდი.

საკანონმდებლო ჩარჩო

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის № 24 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის № 108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის № 17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 02 დეკემბრის № 289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის № 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის № 424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის № 99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ დამტკიცების თაობაზე;

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის # 197 ბრძანებულება გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) მოთხოვნების შესაბამისად:

სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;

სსბასს 2 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;

სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;

სსბასს 4 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;

სსბასს 6 - კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;

სსბასს 9 - შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან;

სსბასს 12 - მატერიალური მარაგები;

სსბასს 13 - იჯარა;

სსბასს 14 - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები;

სსბასს 23 - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები);

სსბასს 24 - ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;

სსბასს 31 - არამატერიალური აქტივები;

სსბასს 34 - ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;
სსბასს 35 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
სსბასს 37 - ერთობლივი შეთანხმებები;
სსბასს 39 - დაქირავებულთა სარგებელი.

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდაციას ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ასევე მის მმართველობაში შემავალი კონტროლირებული ერთეულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები. კონტროლირებული ერთეულების საქმიანობა რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან და უნიკალურია თავისი მნიშვნელობით.

კონსოლიდირებული ერთეულები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება შედგენილია უშუალოდ სამინისტროსა და შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე:

1. სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა.
2. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.
3. სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
4. სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო.
5. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.
6. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ (მასში შემავალ სსიპ-ებთან ერთად: გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი; ინსტიტუტი ოპტიკა; მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი).
7. ა(ა)იპ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდი, დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 მარტის № 516 განკარგულებით. ანგარიშგების დასრულების მომენტისათვის მიმდინარეობს ფონდის ლიკვიდაციისათვის საჭირო პროცედურები.

2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად გრძელვადიანი ფინანსური აქტივების სახით შევიდა და წმინდა აქტივებსა და კაპიტალზე გავლენა იქონია იმ სახელმწიფო შპს-ების საკუთარი კაპიტალის მოცულობამ, რომლებშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მასში შემავალ კონტროლირებულ ერთეულებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა და რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფოს 100%-იანი წილით და ანგარიშგების პერიოდისათვის

იმყოფებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მისი სსიპ-ების დაქვემდებარებაში. ეს კომპანიებია:

1. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ – 2,435,776.00 ლარიანი აქტივით;
2. შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი“ – 634,664.00 ლარიანი აქტივით;
3. შპს „დელტა მშენებელი“ – 28,205,042.00 ლარიანი აქტივით;
4. შპს „დელტა ინტერნეიშენელი“ – 4,670,935.00 ლარიანი აქტივით;
5. შპს „დელტა ტექსტილი“ – (54,558.00) ლარიანი ვალდებულებით;
6. შპს „ქართული კვების კომპანია“ – ნულოვანი აქტივით;
7. შპს „Business World Aviation“ – ნულოვანი აქტივით;
8. შპს „United Armaments Georgia“ – ნულოვანი აქტივით;
9. შპს „ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრი“ – ნულოვანი აქტივით;
10. ა(ა)იპ „ენერგეტიკული ნივთიერებების საექსპორტო ბიურო“ – ნულოვანი აქტივით;

ინვესტიციები აღრიცხულია კაპიტალ მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, კაპიტალის ცვლილებაზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე საანგარიშო პერიოდში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენ წარვადგენთ ფინანსური ანგარიშგების პაკეტს, რომელიც მოიცავს:

- ფორმა № 1 - ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება;
- ფორმა № 2 - ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება;
- ფორმა № 4 - წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- ფორმა № 5 - ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დანართის სახით წარმოდგენილია:

- შენიშვნა № 1 - სააღრიცხვო პოლიტიკები;
- შენიშვნა № 2 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- შენიშვნა № 2ა - მიმდინარე ინვესტიციები და მისაღები თანხები (დებიტორები);
- შენიშვნა № 3 - მატერიალური მარაგები;
- შენიშვნა № 4 - სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები;
- შენიშვნა № 5 - გრძელვადიანი ფინანსური აქტივები;

შენიშვნა № 6 - ძირითადი აქტივები;
შენიშვნა № 8 - არამატერიალური აქტივები;
შენიშვნა № 11 - სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივები;
შენიშვნა № 13 - კრედიტორული დავალიანება, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები;
შენიშვნა № 14 - შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა;
შენიშვნა № 15 - შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან;
შენიშვნა № 16 - სხვა შემოსავლები;
შენიშვნა № 17 - დარიცხული ხარჯები;
შენიშვნა № 18 - სხვადასხვა ხარჯები.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ძირითადად გამოყენებულია საწყისი (ისტორიული) ღირებულება. იშვიათ შემთხვევაში - რეალური (გადაფასებული) ღირებულება.

ანგარიშგების თარიღი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (წაერთი) ფინანსური ანგარიშგების თარიღია 2020 წლის 31 დეკემბერი.

საანგარიშგებო პერიოდი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (წაერთი) ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია - 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (წაერთი) ფინანსური ანგარიშგება მზადდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. დამრგვალება ხდება ერთ ლარამდე სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, რომელზეც ვრცელდება სსბასს 4-ის - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები - მოთხოვნები. საანგარიშგებო თარიღისათვის გადაანგარიშებას დაექვემდებარა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნა ფულადი მუხლების გადაანგარიშებისას, აღიარდა როგორც კურსთაშორის სხვაობით და გადაფასების

შედეგად მიღებული შემოსავალი/წარმოშობილი ხარჯი და აისახა საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტში.

ანგარიშგების მომზადების და გამოქვეყნების თარიღი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ხუთი თვის ვადაში და ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე ანგარიშგების წარდგენის ვადამაც გადაიწია. შესაბამისად, 2021 წლის 04 ივნისს გადაიგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია სამინისტროს მთავარი ბუღალტერი, ხოლო დამტკიცებასა და დანიშნულებისამებრ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენაზე, სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

რესურსების განაწილება და გამოყენება

დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული (საკუთარი) შემოსავლები. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა და სსიპ კიბერ უსაფრთხოების ბიუროს დაფინანსების წყაროა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის; სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის; სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“ (მასში შემავალ სსიპ-ებთან ერთად) დაფინანსების წყაროა როგორც საბიუჯეტო სახსრები, ისე საკუთარი შემოსავლები; ა(ა)იპ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდი ფუნქციონირებდა ნებაყოფლობითი შემოწირულობებით. სამინისტროს მიერ ხარჯები გაწეულ იქნა სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით - როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და გეგმის, ასევე, ვალდებულებების მოცულობის ფარგლებში.

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა

საგადასახადო მიზნებისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის მმართველობაში არსებული ერთეულების მიერ გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა სახელმწიფო სექტორში მოქმედი აღრიცხვის და

ანგარიშგების ნორმებით და პრინციპებით, რომელიც განსხვავდება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებისგან.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კონტროლირებული ერთეულები წარმოადგენენ ფუნქციონირებად ერთეულებს და ანგარიშგების თარიღისთვის არ არის ინფორმაცია მომავალში მათი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

სააღრიცხვო მონაცემებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებებზე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ეწინააღმდეგება ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ეკონომიკური მოვლენები შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის № 108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა; აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის № 17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე და ამ ინსტრუქციით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა.

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. ხოლო მოვლენები, რომლებზეც არსებობს მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგების წარდგენამდე განხორციელდა ამ პერიოდში მიღებული გასული წლის ვალდებულებების დაკრედიტება. ასევე, მოხდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის № 315 და 30 აპრილის № 358 ბრძანებებით დამტკიცებული და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე რიცხული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისიის“ მიერ გამოვლენილი ხანდაზმული დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ანგარიშებიდან საცნობარო მუხლებზე გადატანა.

